WFD
WESTMINSTER FOUNDATION FOR DEMOCRACY

საქართველოს პარლამენტი

Sweden/შვედეთი
Sverige

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

საპარლამენტო თემატური მოკვლევის გზამკვლევი

6 ეტაპი

1. საკითხის შერჩევა

შემოსული განცხადებების ანალიზის, მიმდინარე მოვლენების, საჯარო ინტერესისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით პარლამენტის წევრები ირჩევენ თემატური მოკვლევის საკითხს.

2. ჯგუფის ფორმირება

შერჩეული საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით პარლამენტის კომიტეტში ან მუდმივმოქმედ საბჭოში იქმნება მოკვლევის ჯგუფი.

3. ინფორმაციის გავრცელება

მოკვლევის ჯგუფი ავრცელებს ინფორმაციას მოკვლევის დაწყების შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საკითხის დასახელებასა და მოკლე აღწერას. აგრეთვე, დაინტერესებული პირების მიერ მოსაზრებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის წესსა და ვადებს.

4. ინფორმაციის მიღება და ანალიზი

მოკვლევის ჯგუფი სწავლობს დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, გამოითხოვს საკითხის შესასწავლად საჭირო ინფორმაციასა და ახსნა-განმარტებას, პასუხისმგებელია საკითხის დამუშავებისა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადებისთვის. მოკვლევის ფარგლებში მიღებული დოკუმენტები ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.

5. ზეპირი მოსმენა

საკითხის მოკვლევის ფარგლებში სავალდებულოა გაიმართოს საკითხის მოსმენა, რომელზეც მოწვეული იქნებიან დაინტერესებული პირები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტები, ექსპერტები და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, რომელსაც უშუალოდ ეხება საკითხი. ზეპირი მოსმენისას მოკვლევის ჯგუფი იღებს საკითხის შესახებ დამატებით ინფორმაციას როგორც დაინტერესებული მხარეებისგან, ისე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებისგან.

6. დასკვნის მომზადება და გამოქვეყნება

მოკვლევის ჯგუფი ამზადებს წერილობით დასკვნას, რომელიც წარედგინება კომიტეტს ან პარლამენტის ბიუროს წარუდგენს დასამტკიცებლად. შემუშავებული რეკომენდაციები ან/და დავალებები ეგზავნება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.

მომზადებული და გამოცემულია საქართველოს პარლამენტის ინიციატივით ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.